ერთი ბავშვის პოლიტიკა

ჩინეთის ერთი ბავშვის პოლიტიკა იყო ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი დემოგრაფიული რეფორმა მეოცე საუკუნის ბოლოს. ეს პოლიტიკა შემოიღო ჩინეთის მთავრობამ 1979 წელს, დენ სიაოპინის მმართველობის პერიოდში, ქვეყნის მოსახლეობის სწრაფი ზრდის შეჩერების მიზნით. იმ დროისთვის ჩინეთი დადგა სერიოზული პრობლემების წინაშე: ეკონომიკა ვერ ახერხებდა მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, გაძლიერებული იყო სიღარიბე და საკვების დეფიციტი. ამიტომ მთავრობამ გადაწყვიტა მკაცრი ზომების მიღება.

ერთი ბავშვის პო ლიტიკის თანახმად, ქალაქებში მცხოვრებ წყვილებს მხოლოდ ერთი შვილის გაჩენის უფლება ჰქონდათ. სოფლებში და ეთნიკურ უმცირესობებში კი ზოგჯერ ნებადართული იყო მეორე შვილის ყოლა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ პირველი შვილი გოგო იყო. ვინც წესს არღვევდა, მას ემუქრებოდა დიდი ჯარიმა, სამუშაოდან გათავისუფლება ან სხვა სახის სასჯელი. ზოგიერთ რეგიონში დაფიქსირდა იძულებითი აბორტებისა და სტერილიზაციის შემთხვევებიც, რაც პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ მხარედ იქცა.

პოლიტიკამ მოკლევადიან პერსპექტივაში გარკვეული შედეგი ნამდვილად გამოიღო. მოსახლეობის ზრდა საგრძნობლად შენელდა, ხოლო ეკონომიკამ დაიწყო სწრაფი განვითარება. ჩინეთმა მოახერხა მრავალი სოციალური პრობლემის თავიდან აცილება და შექმნა საფუძველი ეკონომიკური ზრდისთვის. თუმცა, ამავე დროს, პოლიტიკამ მრავალი უარყოფითი შედეგიც მოიტანა.

პირველ რიგში, ქვეყანაში გაჩნდა სქესობრივი დისბალანსი — ბევრი ოჯახი ვაჟს ამჯობინებდა, რის გამოც გოგონათა დაბადების მაჩვენებელი შემცირდა. მეორე დიდი პრობლემა გახდა მოსახლეობის დაბერება: ახალგაზრდების რაოდენობა შემცირდა, რაც სერიოზულ გამოწვევად იქცა შრომის ბაზრისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემისთვის. გარდა ამისა, ფსიქოლოგიური ზეწოლა გაიზარდა იმ თაობაზე, რომელიც როგორც ერთადერთი შვილი იზრდებოდა — ე.წ. „პატარა იმპერატორების“ თაობა.

***2015** წელს ჩინეთის ხელისუფლებამ აღიარა, რომ ერთი ბავშვის პოლიტიკა ამოეწურა და შემოიღო ორ ბავშვის პოლიტიკა, ხოლო **2021** წლიდან ნებადართული გახდა სამი ბავშვის ყოლაც. მიუხედავად ამისა, დაბადების მაჩვენებელი მაინც დაბალია, რადგან თანამედროვე ოჯახები ხშირად თავს არიდებენ მრავალი შვილის აღზრდასთან დაკავშირებულ ხარჯებსა და პასუხისმგებლობებს.*

დასასრულად შეიძლება ითქვას, რომ ერთი ბავშვის პოლიტიკა იყო ისტორიული ნაბიჯი, რომელმაც განსაზღვრა ჩინეთის სოციალური და ეკონომიკური განვითარება. მიუხედავად იმისა, რომ მან გარკვეული წარმატებები მოიტანა, ამავე დროს შექმნა მრავალი გრძელვადიანი პრობლემა, რომელთა გადაჭრაზე ჩინეთი დღესაც აქტიურად მუშაობს.

მარიამ ივანიძე